ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში: განათლება და შრომის ბაზარი

ნაწილი II

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

ანტისოციალური პოლიტიკა საქართველოში: განათლება და შრომის ბაზარი

ნაწილი II

შესავალი

სტატიის პირველ ნაწილში ჩვენ შევეხეთ საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული პრობლემების მცირე ნაწილს, რომელთა ანალიზისას გამოვიყენეთ შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კვლევა შრომის ბაზრის შესახებ და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ბაზაში არსებული მონაცემები. დამსაქმებელი ორგანიზაციებისა და სამუშაო ძალის რაოდენობრივი და სექტორული განაწილების მაჩვენებელმა შესაძლებლობა მოგვცა, გვესაუბრა დედაქალაქში სამუშაო ძალის მაღალი კონცენტრაციის შედეგად გამოწვეულ ურბანულ და სოციალურ პრობლემებზე; საქართველოს სხვა ქალაქებისა და სოფლების ეკონომიკურად უფუნქციო სივრცეებად ქცევის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებზე; კვლევის არასათანადოდ ეფექტიან მეთოდოლოგიასა და იმ ხარვეზებზე, რაც საფუძვლიანად აყენებს ეჭვქვეშ მის ემპირიულ ვალიდურობას.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ წარმოების სექტორის განვითარების საკითხს. დღეს ამ სექტორში დასაქმებულია მთელი სამუშაო ძალის ძალიან მცირე ნაწილი, თუმცა, მიუხედავად ამისა, მონაცემთა ანალიზისას აღმოჩნდა, რომ მთლიან შიდა პროდუქტში აღნიშნული სექტორიდან მიღებული დამატებული ღირებულების წილი თითქმის უტოლდება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში (სადაც დღეს ყველაზე მეტი ადამიანია დასაქმებული) მიღებულ ეკონომიკურ შედეგს, რის საფუძველზეც ჩვენ დავსვით სახელმწიფოს მიერ ინდუსტრიული პოლიტიკის წარმოების აუცილებლობის საკითხი.

ამ საკითხს აუცილებლად დავუბრუნდებით სახელმწიფოს პოლიტიკაზე საუბრისას, სადაც დეტალურად განვიხილავთ, თუ როგორ აპირებს საქართველოს მთავრობა შრომის ბაზარზე წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას და როგორი შეიძლება იყოს მათი მოგვარების საფუძვლიანი, გრძელვადიანი და ეფექტიანი გზები, ქვეყანაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში შექმნილი მდგომარეობისა და ამჟამინდელი სპეციფიკის გათვალისწინებით. მანამდე კი დავუბრუნდეთ შრომის ბაზრის კვლევის შედეგად მიღებულ ნედლ მონაცემებს. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა ქართულ შრომის ბაზარზე დღეს განათლების სისტემასა და შრომის ბაზარს შორის ურთიერთობის საკითხია, რაც კვლევის მიერ შეფასებულია, როგორც დისბალანსი „სამუშაო ძალის კვალიფიკაციის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის“.

სამუშაო ძალის კვალიფიკაციის კვლევის მეთოდოლოგია

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის გაზომვა დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი განათლების დონის საფუძველზე (რაც აღნიშნულმა კვლევამ განახორციელა) არა მხოლოდ მეთოდოლოგიურად არის მცდარი, არამედ, შესაძლოა, ამ გზით არასწორი შედეგები მივიღოთ, არასწორი სახელდებით. მაგალითად, თუ ჩვენ ვზომავთ დამსაქმებლის მოთხოვნას და ამით გვსურს, გავიგოთ მუშახელის კვალიფიკაციის ხარისხი საქართველოში, ამას შემდეგ ვერ დავარქმევთ სამუშაო ძალის კვალიფიკაციის შესაბამისობას მოთხოვნასთან, რადგან კვალიფიკაციის დონე არ გვიკვლევია. გარდა ამისა,

შესაძლებელია, დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი განათლების დონე არ ემთხვეოდეს სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, თუმცა ამავე პოზიციებზე მაინც იყოს დასაქმებული სამუშაო ძალის დიდი ნაწილი. თუ განვითარებული ქვეყნებისათვის ეს ნაკლებად დამახასიათებელია, იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება განიცადეს, ეს სავსებით კანონზომიერია. სტრუქტურული უმუშევრობა, რომელიც ნაშრომის შესავალში ვახსენეთ, წარმოიშობა სწორედ ეკონომიკურად გარდამავალ ეტაპზე და გულისხმობს ხანგრძლივ, გრძელვადიან უმუშევრობას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სამუშაო ადგილები მთლიანად უქმდება. ის სამუშაო ადგილები, რომლებიც წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროფესიებს, როგორებიცაა მაგალითად, ჯანდაცვის ან განათლების სფეროებში არსებული პოზიციები _ თუნდაც, ექიმი და მასწავლებელი, ვერ გაქრება ვერც გარდამავალ და ვერც მის შემდგომ ეტაპზე. ასევე ვერ გაქრება საჯარო უწყებებში არსებული პოზიციების დიდი ნაწილი, რომელთა გარეშეც, უბრალოდ, ქვეყნის ადმინისტრაციული ფუნქციონირება ხდება შეუძლებელი. შესაბამისად, უკიდურეს შემთხვევაში, ამ პოზიციებზე მაინც, სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი განაგრძობს ან იწყებს მუშაობას. თუ ქვეყანა გარდამავალ ეტაპზეა, ანუ იცვლება ეკონომიკური საფუძველი და ამის პარალელურად არ ხდება პროფესიონალთა ეტაპობრივი გადამზადება, თანხის ხარჯვა განათლების ხარისხის ზრდაზე ან სხვა ტიპის ინტერვენციები საგანმანათლებლო სისტემასა და შრომით ბაზარზე, ეს ნიშნავს, რომ სამუშაო ძალის უნარი და კვალიფიკაცია ვეღარ პასუხობს დროისა და ტექნოლოგიის შესაბამის მოთხოვნებს (ეს, თავის მხრივ, პირდაპირ არ ნიშნავს დამსაქმებლის მოთხოვნას), რაც არა მხოლოდ ინარჩუნებს უმუშევრობის მაღალ დონეს, არამედ გვაძლევს არაკვალიფიციური მუშახელის გარკვეულ რაოდენობას, რომელიც ამ დისბალანსის მიუხედავად, მაინც დასაქმებულია. შესაბამისად, იმის დათვლით, თუ რამდენად პასუხობს დამსაქმებლის მოთხოვნას ქართველი უმუშევარი ან დასაქმებული აპლიკანტი, ჩვენ ვერ აღვწერთ, მაგალითად, უკვე დასაქმებული სამუშაო ძალის კვალიფიკაციას ან უმუშევართა კვალიფიკაციის დონეს. იმისათვის კი, რომ შემდგომ მოხდეს რიგი ცვლილებები დისბალანსის აღმოსაფხვრელად, საჭიროა სწორედ სამუშაო ძალის (დასაქმებულთა და უმუშევართა) კვალიფიკაციის გაზომვა, ნაცვლად დამსაქმებლის მოთხოვნისა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO-ს) ყოველწლიურად განახლებად ანგარიშში, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიოს მასშტაბით შრომის ბაზართა კვლევებისთვის საჭირო ძირითადი ინდიკატორები, განათლების დონისა და კვალიფიკაციის აღწერისა და გაზომვის მეთოდოლოგიაში გამოყოფილია რამდენიმე ასპექტი, რომელიც ორ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: საგანმანათლებლო მიღწევებსა და წიგნიერების დონეს და უნარების შესაბამისობა/შეუსაბამობას ბაზრის მოთხოვნასთან. სამუშაო ძალის კვალიფიკაციის გაზომვის საუკეთესო ინდიკატორად შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია განიხილავს ქვეყნის შიგნით არსებულ საგანმანათლებლო სისტემას და მის მიღწევებს, რაზეც პირდაპირ არის მიბმული მოსახლეობის წიგნიერების ან სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონე; თავის მხრივ, საგანმანათლებლო მიღწევები მნიშვნელოვან შედეგს იძლევა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლისა და კეთილდღეობის სტანდარტის გაუმჯობესებისათვის, რადგან დიდწილად ამ მიღწევებზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კონკურენტუნარიანია ეროვნული მასშტაბით ამა თუ იმ ქვეყნის სამუშაო ძალა კვალიფიკაციის ხარისხით. კვალიფიკაციის მაღალი ხარისხი კი, შესაბამისად, ერთ-ერთი კომპონენტია შრომის ანაზღაურებისა და ცხოვრების სტანდარტის დონის გაზრდისათვის.

აქ ორმაგ მიზეზ-შედეგობრიობაზე შეგვიძლია ვისაუბროთ _ თუ საგანმანათლებლო

მიღწევების საფუძველზე ქვეყნის შიგნითვე იქმნება ის ტექნოლოგიები, ცოდნა და მანქანა-დანადგარები, რომლებიც ზრდის კვალიფიკაციაზე მოთხოვნას, ერთი მხრივ, ეს გრძელვადიან პერსპექტივაში გაზრდის უნარების მიწოდების დონეს, ხოლო მეორე მხრივ, აქვს პოტენციალი გამოიწვიოს ქვეყანაში დაბალკვალიფიციური და დაბალანაზღაურებადი მუშახელის პროგრესულად შემცირების ტენდენცია. მეორე მიზეზ-შედეგობრიობა _ რადგან პირდაპირ თუ ირიბად, ყველა ქვეყანაში დღეს კვლავ ადამიანური რესურსები წარმოადგენს ყველაზე პროდუქტიულ და ღირებულ შრომით რესურსს, ტრადიციულად, ქვეყნები დამოკიდებულნი არიან მუშახელის ჯანმრთელობაზე, სიძლიერესა და ბაზისურ უნარებზე, რაც აუცილებელი პირობაა წარმოების, მოხმარებისა და ვაჭრობისათვის, შესაბამისად, სწორედ ამ ადამიანური რესურსის დამაკმაყოფილებელი ცხოვრების სტანდარტები და წიგნიერების დონე განაპირობებს საგანმანათლებლო მიღწევების განვითარების წინაპირობას.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა გარდამავალ პერიოდში და მის შემდგომ

თუ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ამ მსჯელობას გავყვებით, გასაგებია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ზემოთ აღწერილი პროცესები მიზეზ-შედეგობრივია და ერთმანეთისაგან გამომდინარეობს, ხოლო საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში მიმდინარე საგანმანათლებლო სისტემის კრიზისმა, რომელიც მწვავე სოციალური და ეკონომიკური კრიზისების ფონზე გრძელდებოდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა წიგნიერების საერთო დონის შემცირებაში, რამაც, თავის მხრივ, უკვე უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში წარმოშვა აკადემიური და ინტელექტუალური ელიტების კრიზისი. რა თქმა უნდა, ვერც ერთი სოციალური სფერო, მათ შორის განათლება, ვერ იქნება მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესის საგანი და სტერილური სახელმწიფოს პასუხისმგებლობისაგან, რადგან სწრაფვა საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებისაკენ საზოგადოებამ შესაძლოა, თავად გამოიმუშაოს მხოლოდ გამოცდილებით, ფორმალური ან არაფორმალური განათლებით ან მასობრივი გადამზადებით, რომელთათვისაც აუცილებელი პირობები ჩვენთან სახელმწიფოს არ შეუქმნია, რიგი მიზეზების გამო. დავიწყოთ პირველი საკითხით, რაც გამოცდილებას გულისხმობს:

ჩვენი გამოცდილების ძირითადი ნაწილი (ვგულისხმობ საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემას), რომელიც საკმაოდ სერიოზულ მეცნიერულ და ტექნოლოგიურ ტრადიციას ფლობდა _ ისევე გაქრა და დაიკარგა, როგორც სსრკ საქართველოში არსებული სხვა მატერიალური სიმდიდრეები, რომელთაც ნაშრომის პირველ ნაწილში შევეხეთ. დაიხურა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიების დიდი ნაწილი, ხოლო ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, რითაც ეს დაწესებულებები იყო აღჭურვილი, საერთოდ განადგურდა. ნაწილობრივ მოხერხდა სამეცნიერო-კვლევითი ცოდნისა და აღჭურვილობის იმ ნაწილის კონსერვაცია, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტებში ინახებოდა, თუმცა ქვეყანაში მეცნიერებისათვის განკუთვნილი, კვლევების წარმოებისათვის საჭირო ელემენტალური რესურსების გაქრობის გამო, ეს ცოდნა წინ ვერ წავიდოდა და მათი გარდაქმნაც შეუძლებელი გახდა, დროის შესაბამისად. ამგვარად, ჩვენი გამოცდილება _ საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემის მიერ შექმნილი ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ნაწილი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო გამოუყენებელი გახდა.

მეორე მხრივ, ქვეყანაში, სადაც სწრაფად მოხდა ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება და

არც სამეცნიერო მემკვიდრეობის გაგრძელების, არც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნისათვის საჭირო და ადეკვატური ცოდნისა და უნარების დაგროვების ძლიერი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წინაპირობა არ შექმნილა, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებად ჩვენთან დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა მოსახლეობის ხანდაზმული ნაწილი, რომელმაც უმაღლესი განათლება ჯერ კიდევ გეგმური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში მიიღო. კანონზომიერია, რომ ეტაპობრივად, მოსახლეობის ამ ნაწილის სიკვდილიანობასთან ერთად, თანდათან მცირდებოდა სამუშაო ძალის კვალიფიციურობის მაჩვენებელი _ თუმცა ეს კვალიფიციურობა, უნდა აღინიშნოს, თვისობრივად განსხვავებულია კვალიფიკაციის იმგვარი სტრუქტურისაგან, რასაც თანამედროვე შრომის ბაზარი და ტექნოლოგიები მოითხოვს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში საკუთარ სპეციალობებში ყველაზე კვალიფიციური სამუშაო ძალა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნას, დანარჩენი სამუშაო ძალა კი _ ძირითადად ახალგაზრდები სწორედ საკუთარ სპეციალობებში არ არიან კვალიფიციურები, გაუმართავი განათლების სისტემისა და სახელმწიფო უნივერსიტეტების სრული კოლაფსის გამო, რაც უკვე ფორმალური განათლების პრობლემაა.

რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, რომლის მაგალითი შეიძლება იყოს სახელმწიფო სტრუქტურების ან თავად დამსაქმებლის მიერ უკვე სპეციალიზებული მუშახელის ეტაპობრივი გადამზადება, ამის პრაქტიკა, ფაქტობრივად, ჩვენ არ გვქონია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობამდე, თუმცა გადამზადების ის მეთოდები, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა საგანმანათლებლო სფეროში, არა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის, არამედ სტანდარტიზებული განათლების დანერგვის სწრაფი და მკაცრად იდეოლოგიზებული, ზედაპირული მეთოდები იყო, რამაც, თავის მხრივ, სულ სხვა პრობლემები წარმოშვა, როგორიცაა განათლების მარკეტიზაციისათვის დამახასიათებელი ელემენტების შეტანა სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემაში, რამაც გამოიწვია განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობის ზრდა, სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გათვლილი დანახარჯის კიდევ უფრო შემცირება და ა.შ

წინა ხელისუფლების პოლიტიკა საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებების შემოქმედი გახდა განსაკუთრებით უმაღლესი განათლების სისტემისათვის, თუმცა რისკენ იყო მიმართული ეს ცვლილებები და რა როლი ითამაშა მან ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირებაში, პროგრესული თუ ერთმნიშვნელოვნად რეგრესული, ეს ქვემოთ გავაანალიზოთ, მას შემდეგ, რაც მთლიანად დავინახავთ იმ სურათს, რომელიც დღეს გვაქვს უმაღლესი განათლების სისტემაში.

დასაქმებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით, უმუშევრობა და თვითდასაქმებულთა წილი

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ხსენებული საკითხების სრულყოფილი ანალიზისათვის საჭირო სიღრმისეული კვლევებისა და მონაცემების სერიოზული დეფიციტია როგორც თემატურად პასუხისმგებელი სამინისტროების ანგარიშებში, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის ბაზებში. კვლევა, რომლის მონაცემებსაც ვეყრდნობით, როგორც ნაშრომის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, არ წარმოადგენს სწორი მეთოდოლოგიით წარმოებულ რეპრეზენტატულ კვლევას, თუმცა რაკი ის შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა მონაცემის შემაჯამებელი ერთადერთი სახელმწიფო დოკუმენტია, ჯერჯერობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის

მონაცემებთან მისი შედარებით მოგვიწევს, განვიხილოთ სხვადასხვა ვარიანტი, თუ რას შეიძლება ასახავდეს რეალურად კვლევაში წარმოდგენილი მონაცემები ან რა სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები იყოს ამ სურათის განმაპირობებელი.

განვიხილოთ შრომის ბაზრის კვლევაში წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემები. კვლევაში მოყვანილია *დამსაქმებლის მიერ განათლების დონის მოთხოვნის პროცენტული განაწილება* **(დიაგრამა#1).** ამ სახელდების მიხედვით, დიაგრამა უნდა ასახავდეს გამოკითხული ორგანიზაციების მიერ საკუთარ სამუშაო აქტივში მოაზრებულ დასაქმებულთა პროცენტულ განაწილებას მათ მიერ მინიჭებული (მოთხოვნილი) კვალიფიკაციის (ამ შემთხვევაში, განათლების დონის) მიხედვით. თუ მკვლევრებმა სწორად განსაზღვრეს სახელდება, მიღებული მონაცემები გვაჩვენებს, რომ დასაქმებულთა 49.7% უმაღლესი განათლების დონის კატეგორიაშია, ანუ მისგან დამსაქმებელმა უმაღლესი განათლების დონე მოითხოვა დასაქმების დროს, რასაც მოსდევს საშუალო განათლება - 31.9%-ის ოდენობით და პროფესიული განათლება _ 14.7 %-ის ოდენობით (იხ. დიაგრამა #1). თუ კვლევის მიერ მოპოვებული ეს მონაცემები სწორია და ამართლებს მის სახელდებას, მაშინ გამოდის, რომ დაქირავებით დასაქმებულთა შორის (700 000-მდე ადამიანი, საქსტატი) საშუალო განათლების მოთხოვნით დღეს ორჯერ მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე პროფესიული განათლების მოთხოვნით, ხოლო პროფესიული და საშუალო განათლების მოთხოვნით დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა უტოლდება უმაღლესი განათლების მოთხოვნით დასაქმებულთა რაოდენობას.

ამ მოსაზრებებს კიდევ ერთხელ მივყავართ იმ პრობლემური, ობიექტური გარემოებების ანალიზისაკენ, რასაც ნაშრომის პირველ ნაწილში შევეხეთ: საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროა, სადაც რაოდენობრივად ყველაზე მეტი ადამიანი საქმდება. ამ მონაცემების ზემოთ მოყვანილ მონაცემებთან დაკავშირებით ლოგიკურად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს შრომით ბაზარზე ჭარბობს მოთხოვნა იმგვარ სამუშაო ადგილებზე, სადაც დამსაქმებელი საშუალო ან პროფესიულ განათლებას მოითხოვს (კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის მაგალითად შეგვიძლია, მოვიყვანოთ შრომის ბაზრის კვლევაში მოცემული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით მოთხოვნადი პროფესიების შესახებ, რაც ცხადყოფს, რომ, რამდენიმე რეგიონის გარდა, თბილისის ჩათვლით, თითქმის ყველგან მოთხოვნად პროფესიებში პირველ ადგილზეა მაღაზიის გაყიდვების ასისტენტი, კონსულტანტი, მიმტანი, სტილისტი და მსგავსი პროფესიები), რაც, თავისთავად, ნიშნავს დაბალანაზღაურებად სამუშაოებს. საშუალო განათლების მოთხოვნა, დიაგრამა #1-ის მიხედვით, შეადგენს დასაქმებულთა განათლების დონის მოთხოვნის დაახლოებით მესამედს, სადაც, ანაზღაურება დაბალია. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დამსაქმებელი ხშირად მოითხოვს უმაღლეს ან პროფესიულ განათლებას, აპლიკანტის დასაქმების შემთხვევაში, საშუალო ანაზღაურება მაინც დაბალია. ამგვარად, მთელი მოთხოვნის დაახლოებით მესამედი შეადგენს ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც ანაზღაურება ჩვენი სტანდარტით დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე (რომელზეც დასაქმებულია, მაგალითად, უმაღლესი განათლების დონის მოთხოვნით დაქირავებული სამუშაო ძალა) კიდევ უფრო დაბალია. სწორედ ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში დაბალ პოზიციებზე არსებული სამუშაო ადგილები წარმოადგენს დაბალი განათლების დონის მოთხოვნის მიხედვით დაქირავებულ, ერთ-ერთ ყველაზე დაბალანაზღაურებად სამუშაოებს და, რაც მთავარია, ძალიან ბევრს, რაოდენობრივად.



დიაგრამა #1

თუ დავეყრდნობით სამუშაო ძალის მთლიან მაჩვენებელს - სამუშაო ძალის განაწილების სტრუქტურას (იხ. დიაგრამა #1 ნაშრომის პირველ ნაწილში), სადაც დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობას სერიოზულად უსწრებს წინ თვითდასაქმებულთა რაოდენობა (1 000 000-ზე მეტი ადამიანი, ქვეყანაში არსებული მთელი სამუშაო ძალის დაახლოებით 60 %,), მაშინ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ, რომ გარდა დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე უმაღლესი განათლების მქონეთა დასაქმების მაღალი ტენდენციისა, დაბალშემოსავლიანია ასევე უმაღლესი განათლების მქონეთა ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულთა კატეგორიაში ვერ ხვდება: საქსტატის 2015 წლის მონაცემებით, დაქირავებით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა საერთო რაოდენობიდან (1 700 000 კაცი) დღეს უმაღლესი განათლების მქონეა 544 200 ადამიანი. თუ გავითვალისწინებთ დაქირავებით დასაქმებულთა მთლიან რაოდენობასა (700 000) და ზემოთ მოყვანილ დიაგრამა #1-ს, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ამ 544 200 ადამიანიდან დაქირავებით დასაქმებულია დაახლოებით 350 000-ზე ნაკლები (49%), უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის დარჩენილი ნაწილი კი _ დაახლოებით 200 000 არის თვითდასაქმებული, საშუალო განათლების მოთხოვნით დასაქმებული, ან უმუშევარი.

თვითდასაქმებულთა განაწილებას დასაქმების სტატუსის საფუძველზე საქსტატი აწარმოებს მხოლოდ შემდეგი კატეგორიების მიხედვით: 1)მეწარმე, მეურნე დამქირავებელი; 2) მეწარმე, მეურნე დაქირავებული პირების გარეშე; 3) ოჯახურ საწარმოში ან ახლობლისთვის უსასყიდლოდ მომუშავე პირი. 1 000 000-ზე მეტი ადამიანიდან, მხოლოდ 2,2%-ია მეწარმე, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს საშუალო ან მაღალი შემოსავალი. დანარჩენი 97,8 % კი ცხოვრობს დაბალი ან უკიდურესად დაბალი შემოსავლით. მაგალითად, 1 000 000-ის თითქმის ნახევარი _ 411 700 ადამიანი ოჯახურ საწარმოში ან ახლობლისთვის უსასყიდლოდ მუშაობს და ან უკიდურესად დაბალი შემოსავალი აქვს, ან საერთოდ არ აქვს შემოსავალი. დანარჩენი 584 100 ადამიანი მეწარმე ან მეურნეა დაქირავებული პირის გარეშე, ანუ თავად ისაქმებს თავს _ სოფლის მეურნეობით, ტაქსისტობით, რეპეტიტორობით და ასე შემდეგ.

ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების ნაწილი, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება (თუმცა დაქირავებით ვერ საქმდებიან), ვერ საქმდებიან ვერც საკუთარ და ვერც სხვა სპეციალობებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვერც უმაღლესი განათლების მოთხოვნის ვაკანსიებზე და ვერც საშუალო განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების დონის მოთხოვნით არსებულ სამუშაო ადგილებზე, რადგან არ გააჩნიათ სპეციფიკური პროფესიული ცოდნა. შესაბამისად, თავად ხდებიან თავის დამსაქმებლები და დაბალი შემოსავლით ცხოვრობენ (ტაქსისტები, რეპეტიტორები, გარემოვაჭრეები და ა.შ).

სწორედ აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი გარემოება, რომელიც დამსაქმებლის მიერ განათლების დონის მოთხოვნასთან მიმართებაში იკვეთება და კიდევ ერთხელ მიუთითებს კვლევის არასათანადო რეპრეზენტატულობაზე. ფაქტია, რომ კვლევაში არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის განათლებას შეიძლება ფლობდნენ დაქირავებით დასაქმებული ან თვითდასაქმებული ადამიანები სინამდვილეში, დამსაქმებლის მიერ განათლების მოთხოვნის დონის მიღმა. კვლევა რომ ამას ასახავდეს, ამ შემთხვევაში დიაგრამის სახელდება იქნებოდა *„დაქირავებით დასაქმებულთა განაწილება მათ მიერ მიღებული განათლების დონის საფუძველზე“.*

დიაგრამა #1-ზე მოცემული ის 31,9%, რომლისგანაც დამსაქმებელმა მხოლოდ საშუალო განათლება მოითხოვა, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა, იყოს უმაღლეს განათლების მქონე, თუმცა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის გამო, თანხმდებოდეს დაბალანაზღაურებად ან დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე დასაქმებას, სადაც დამსაქმებელი მხოლოდ საშუალო განათლებას მოითხოვს. ამ გარემოებას კიდევ სხვა, ცალკეულ პრობლემასთან მივყავართ, როგორიცაა ქვეყანაში უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა რაოდენობის შეუსაბამობა შრომის ბაზარზე არსებული არათუ მაღალანაზღაურებადი, არამედ ზოგადად, სამუშაო ადგილების რაოდენობასთან _ რაც თვისობრივად განსხვავებული ფენომენია, ვიდრე მოთხოვნასა და კვალიფიკაციას შორის არსებული დისბალანსი.



დიაგრამა #2

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემებით, საშუალოდ, ყოველ წელს ქვეყანაში აღირიცხება დაახლოებით 100 000 სტუდენტი, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში იღებს განათლებას, ხოლო ყოველწლიურად, კურსდამთავრებულთა რაოდენობა 25 000 მდე ადამიანს შეადგენს.
2016 წლის მონაცემებით, საქართველოში ოფიციალურად 130002 სტუდენტი არ არ რეგისტრირებული **(დიაგრამა#2)**, ხოლო კურსდამთავრებულია 22 000 სტუდენტი **(დიაგრამა#3).**



დიაგრამა #3

თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს საქართველოში იმგვარ სამუშაო ადგილებზე ჭარბობს მოთხოვნა, რომელიც, ძირითადად, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს ეხება, ასევე სხვადასხვა ტიპის ტექნიკურ ან პროფესიულ სამუშაო ადგილებზე, სტუდენტთა ეს რაოდენობა საკმაოდ მაღალი ჩანს, ერთი მხრივ, მთლიანად ოფიციალურად დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობასთან შედარებით (700 000-მდე, საქსტატი), მეორე მხრივ კი, მათი სპეციალობები განსხვავდება მოთხოვნადი სპეციალობებისაგან. შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი წარმოადგენს საზოგადოების მომავალ ფენას, რომელიც უმუშევრობისთვის, ან თვითდასაქმებულთა კატეგორიაში მოხვედრისთვის, ან არა საკუთარი, არამედ სხვა სპეციალობით დასაქმებისთვისაა განწირული, რასაც ადასტურებს ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის 2015 წლის მონაცემები, უმუშევრობის ასაკობრივ ჭრილთან დაკავშირებით **(დიაგრამა #4)**, სადაც ჩანს, რომ უმუშევრობა ყველაზე მაღალია 20-24 და 25-29 წლის ასაკის ახალგაზრდებში, ხოლო 55-59 წლისა და შემდგომი წლოვანების ადამიანებში ის ყველაზე დაბალია.

დიაგრამა #3-ზე კურსდამთავრებულთა რაოდენობის კლება 2008-2009 წლის შემდეგ სწორედ სწავლების საფასურის 1500-დან 2250-მდე გაზრდასა და იმდროინდელ ეკონომიკურ კრიზისს შეიძლება უკავშირდებოდეს, რამაც გაზარდა სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა, თანხის გადაუხდელობის გამო, ასევე სტუდენტთა გავალიანება და ასე შემდეგ, რაც მწვავედ

ებმის საქართველოში არსებულ მძიმე ეკონომიკურ ფონს.



დიაგრამა #4

დიაგრამა #4 ზე უმუშევრობის დონის კლების ტენდენცია ასაკობრივი ზრდის მიხედვით გვაჩვენებს, რომ სწორედ განვლილი ათწლეულების განმავლობაში კარგავდა უმაღლესი განათლების სისტემა კავშირს შრომით ბაზართან, უფრო და უფრო მეტად. თუ რა პროცესები შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ტენდენციის საფუძველი, ამას უფრო ვრცლად ქვემოთ განვიხილავთ, მანამდე კი შევხედოთ მოცემულ სურათს _ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დღეს უმუშევრების დიდ ფენას აწარმოებს და ასეთ პირობებში, განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე მეტად, საჭიროა თავად უნივერსიტეტების შიდა სტრუქტურული პოლიტიკის სწორი განსაზღვრა, რასაც ისინი ავტონომიურად, სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე ვერ განახორციელებენ. მიუხედავად ამისა, უმაღლესი განათლების საფასური კვლავ არაადეკვატურად მაღალია, არსებულ სოციალურ ფონთან მიმართებაში. შესაბამისად, პრობლემა მრავალმხრივია _ 1. რა ვუყოთ ამდენ უმაღლეს განათლებამიღებულ სპეციალისტს, რომელზეც შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა; 2. რა ვუყოთ შრომის ბაზარს, რომელშიც ჭარბობს დაბალანაზღაურებადი და დაბალკვალიფიციური სამუშაო ადგილები და თვითდასაქმებულთა წილი მნიშვნელოვნად აჭარბებს ოფიციალურად დასაქმებულთა რაოდენობას; 3. რა ვუყოთ უმაღლესი განათლების სისტემას, რომელიც დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილებისთვისაც კი ვერ აწარმოებს შესაბამისი კვალიფიკაციის სამუშაო ძალას? გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელიც უკვე კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტებს ეხება. უმუშევრების წარმოებით, შეიძლება ითქვას, ძირითადად, სახელმწიფო უნივერსიტეტებია დაკავებული, რადგან შრომის ბაზარზე ათვისებულ მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე, რაც რაოდენობრივად გაცილებით ცოტაა, ვიდრე კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა, ძირითადად, კერძო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები საქმდებიან, როგორც უფრო კვალიფიციური, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვიწროსპეციალიზებული მუშახელი. ეს ტენდენცია კიდევ უფრო მეტად აღრმავებს ისედაც მწვავე სოციალურ უთანასწორობასა და კლასობრივ სეგრეგაციას, რადგან, ფაქტობრივად, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც კერძო უნივერსიტეტების

კურსდამთავრებულია, შემდგომ ხშირად გვევლინება სახელმწიფო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დამსაქმებლად ან მაღალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე დასაქმებულად.

უმაღლესი განათლების სისტემა ვარდების რევოლუციის შემდეგ

განვიხილოთ შრომის ბაზრის კვლევაში მოყვანილი კიდევ ერთი მონაცემი: დასაქმებულთა განათლების დონის განაწილება დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ძირითადი ჯგუფების მიხედვით **(დიაგრამა #5)**. საინტერესოა, რომ ამ ცხრილზეც, დასაქმებულები განაწილებულია არა მათი რეალური (ანუ მათ მიერ მიღებული) განათლების დონის, არამედ დამსაქმებლის მხრიდან მოთხოვნილი განათლების (სპეციალობის) მიხედვით. საინტერესო იქნებოდა, შრომის ბაზრის კვლევაში მოხვედრილიყო ასევე მონაცემი დასაქმებულთა რეალური სპეციალობების შესახებ, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა, გამოგვეთვალა, თუ რამდენი ადამიანია დასაქმებული თავის სპეციალობაზე და რამდენი სხვაზე. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის სტრუქტურული ანალიზი აუცილებელია შრომის ბაზარსა და განათლების სისტემას შორის არსებული დისბალანსის აღმოფხვრისათვის ეფექტიანი პოლიტიკის შესამუშავებლად. ცხადია, საამისოდ არ კმარა დამსაქმებელთა გამოკითხვა და საჭიროა უმუშევრობის სტრუქტურისა და მიზეზების უფრო ღრმად შესწავლა, განსაკუთრებით კი თვითდასაქმებულთა სტრუქტურული კვლევა, თუმცა, გარდა ამისა, მხოლოდ იმის დასკვნა, რომ უნივერსიტეტები საჭიროზე მეტ აკადემიური განათლების მქონე მუშახელს აწარმოებენ, ასევე ვერ გაგვიყვანს გრძელვადიანი და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისაკენ მიმავალ გზაზე.

ერთი სიტყვით, დამსაქმებლებმა დაასახელეს მათ სამუშაო აქტივებში მყოფი მუშახელის სპეციალობები და მათი რაოდენობა, რის საფუძველზეც კვლევამ ეს შედეგი მიიღო. ამ შემთხვევაშიც, თუ დიაგრამის სახელდება ემთხვევა მის შინაარსს, გამოდის, რომ სხვადასხვა სპეციალობის პროფესიონალები, რომელთაგანაც დამსაქმებელმა უმაღლესი განათლების დონე მოითხოვა დასაქმებისას, შეადგენს 253 738 ადამიანს, მეორე ადგილზე კი საკმაოდ დიდი მაჩვენებლით _ 114 566-ით აღნიშნულია მენეჯერები, რომლებიც დამსაქმებელმა ასევე უმაღლესი განათლების მოთხოვნის საფუძველზე დაიქირავა.

მენეჯმენტის, ეფექტიანი მართვისა და მსგავსი სპეციალობების, უფრო ზუსტად კი უნარების სწავლების აქტიურად დანერგვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძირითადად განვლილ 10 წელიწადს უკავშირდება. სწორედ ამ პერიოდში მომრავლდა კერძო უნივერსიტეტები და გაიზარდა მათი როლი შრომით ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ 10 წელი არც ისე დიდი დროა, კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ ორგანიზაციების მიერ თავის აქტივში მოაზრებულ დაქირავებულთა მთლიან მონაცემში, ცალკეულად გამოკვეთილ მიმართულებებს შორის, უმაღლესი განათლების მოთხოვნის შედეგად ყველაზე მეტი ადამიანი მენეჯერულ პოზიციებზეა დასაქმებული _ კვლევის მიერ მოცემული დასაქმებულთა საერთო რაოდენობის თითქმის მერვედი. თითქმის მეოთხედს იკავებს სხვადასხვა სპეციალობის პროფესიონალები, დანარჩენი ნაწილი თითქმის არ ფლობს უმაღლეს განათლებას და ძალიან მცირე ნაწილი - პროფესიულ განათლებას.



ის მეთოდები, რომელიც საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში დანერგა განათლების სამინისტრომ, არ იყო ადეკვატური ქართული საგანმანათლებლო სივრცეებისათვის, სწორედ იმ მოცემულობის საფუძველზე, რაც გარდამავალმა პერიოდმა და მას შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში გაყინულმა უმაღლესი განათლების სისტემამ მოგვცა. სახელმწიფოს პოლიტიკა, ნაცვლად ამ „გადასვლის“ ფრთხილად და თანმიმდევრულად განხორციელებისა, რაც პირველ რიგში არსებული სოციალური მოცემულობების გათვალისწინებას გულისხმობდა, მიმართული იყო სწრაფი და ავტორიტარული, ქირურგიული რეფორმებისაკენ. სწორედ ამან მოგვცა არასრულფასოვანი ბოლონიის პროცესი უნივერსიტეტებში, რაც მხოლოდ ფორმალური სტანდარტების დანერგვაში გამოიხატა; თავის მხრივ, არაადეკვატურად გაიზარდა უმაღლესი განათლების საფასური, სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განათლების ხარისხზე ზრუნვა კი, პირიქით, მინიმუმამდე შემცირდა. უნივერსიტეტებში გაძლიერდა კლანური და ავტორიტარული სისტემები, რომლებიც პირდაპირ მმართველი პარტიის პოლიტიკის გატარებაზე იყო მიბმული _ იქნებოდა ეს სტუდენტური თვითმმართველობის რეპრესიული პრაქტიკა, აკადემიური პერსონალის შერჩევა პოლიტიკური ნიშნით, თუ პოლიტიკური სარჩულით კვალიფიციური ლექტორების უნივერსიტეტიდან განდევნა (აღარაფერს ვამბობ ეგრეთ წოდებულ „ჩარეცხვის“ პოლიტიკაზე ხანდაზმულთა მიმართ, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტრუქტურული უმუშევრობის ფონზე ერთადერთ კვალიფიციურ მასას წარმოადგენდა ქვეყანაში).

სწორედ აქედან გამომდინარე, ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცე ვერ უპასუხებდა იმ გამოწვევებს, რასაც შრომის ბაზარი უწესებდა უნივერსიტეტებს. შესაბამისად, ეს ვერ მოიტანდა პოზიტიურ შედეგს ვერც განათლების სისტემაში და ვერც შრომით ბაზარზე, განსაკუთრებით კი იმ პერიოდში, როცა შრომითი ბაზარიც განათლების სფეროს მსგავსად

ქირურგიულად იცვლება _ მაქსიმალური დერეგულაციის პოლიტიკით, შრომითი უფლებების მინიმუმამდე დაყვანით; ინსპექტირების მექანიზმების გაუქმებითა და სხვა ტიპის ხისტი, ტიპურად ნეოლიბერალური პოლიტიკური ინტერვენციებით.

სავსებით ლოგიკურია, რომ ამ გამოწვევას, შეძლებისდაგვარად, სრულიად ახალმა სივრცემ უპასუხა _ კერძო უნივერსიტეტებმა, როგორც ალტერნატიულმა საკადრო გადამზადების მოდელმა საქართველოში, რომელიც ბევრად უფრო მეტ გადასახადს აწესებდა და აწესებს სტუდენტებისათვის, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტები. შედეგად მივიღეთ ის, რომ კერძო უნივერსიტეტებში დასპეციალიზებული ვიწრო სეგმენტი საშუალო ან საშუალოზე მაღალი კლასისა, რომელსაც ჰქონდა საშუალება, ეხადა მაღალი სწავლის საფასური, მოგვევლინა ძირითად დასაქმებულ კლასად საშუალოზე მაღალანაზღაურებად პროფესიებზე - საბანკო თუ მენეჯერთა რგოლში, ან თავად დამსაქმებლად ძირითადად კერძო სექტორში, რამაც, თავის მხრივ, გააღრმავა ისედაც მწვავე სოციალური უთანასწორობა. სახელმწიფო უნივერსიტეტებში მიღებული განათლებით ადამიანები ან საერთოდ ვერ საქმდებიან, ან საქმდებიან ფრაგმენტულად და არასაკუთარ სპეციალობებზე. შესაბამისად, ხშირად იცვლიან სამუშაო ადგილს თავიანთი სპეციალობით დასაქმების შეუძლებლობის გამო. როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ველური პრივატიზაციის ტალღა და ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს წილის კოლოსალური ზრდა საქართველოს ეკონომიკაში, რამაც შეამცირა საშუალო ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები საჯარო სექტორში და გაზარდა დაბალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები კერძო სექტორში.

საინტერესოა, ასევე, განათლებაზე დახარჯული თანხის, როგორც სხვა სოციალური დანახარჯის, მინიმუმამდე შემცირება სახელმწიფოს მიერ და სამხედრო დანახარჯის კოლოსალური ზრდა, განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის კულმინაციის დროს (2007-2008); ასევე, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში განათლებაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხის პროცენტული წილი სხვა ქვეყნებთან შედარებით. World Development Indicators-ის მაჩვენებლებით, საქართველოში განათლებაზე გამოყოფილი და დახარჯული თანხის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2006-დან 2012 წლამდე კოლოსალურად დაბალია, ვიდრე **(იხ. დიაგრამა #6)** აშშ-ში, ბრიტანეთში, გერმანიაში, ესპანეთში, შვედეთსა და ესტონეთში; ხოლო 2012 წელს ის კიდევ უფრო მცირდება და უთანაბრდება 1990 წლის მონაცემებს, როცა ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური, სამოქალაქო დ სოციალური კრიზისი იდგა, ომებისა და ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილების ჩათვლით. ერთი შეხედვით, ამ მონაცემში არაფერია გასაკვირი, რადგან ვიცით, რომ სხვადასხვა მაჩვენებლით დღემდე ჩამოვრჩებით როგორც განვითარებულ, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებსაც. თუმცა, თუ გავაანალიზებთ სხვა მონაცემებს _ განსაკუთრებით კი ამავე წლებში სამხედრო დანახარჯის პროცენტულ წილს მთლიან შიდა პროდუქტში, ვნახავთ, რომ სამხედრო დანახარჯით საქართველო წინ უსწრებს ყველა აღნიშნულ ქვეყანას, 2010 წლის შემდეგ კი მცირედით ჩამორჩება მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს **(იხ. დიაგრამა #7).**



Series : Government expenditure on education, total (% of GDP)
Source: World Development Indicators
Created on: 09/16/2015

დიაგრამა #6



Series : Military expenditure (% of GDP)
Source: World Development Indicators
Created on: 09/16/2015

დიაგრამა #7

ახლა განვიხილოთ ერთი გარემოება, რომელიც ვახსენეთ რეგისტრირებულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რაოდენობის ანალიზისას: „სტუდენტთა ეს რიცხვი საკმაოდ მაღალია, ერთი მხრივ, მთლიან ოფიციალურად დასაქმებულ ადამიანთა რიცხვთან შედარებით (700 000-მდე, საქსტატი), **ხოლო მეორე მხრივ, მათი სპეციალობები განსხვავდება მოთხოვნადი სპეციალობებისაგან**“ (გვ: 10). ამ შემთხვევაში, საინტერესოა, თუ რა შეიძლებოდა გამხდარიყო სტუდენტთა რაოდენობის შრომის ბაზართან შეუსაბამობის და ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიულ კატეგორიზაციასა და შრომის ბაზარზე მოთხოვნად სპეციალობებს შორის დისბალანსის მიზეზი.

2006 წელს განათლების მინისტრის, კახა ლომაიას ბრძანებით, სასკოლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ეგრეთ წოდებულ ვაუჩერულ სისტემაზე გადავიდნენ, რაც სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების პირდაპირი საბიუჯეტო სუბსიდირების გაუქმებას ნიშნავდა, სტუდენტთა ინდივიდუალური დაფინანსების სანაცვლოდ. უნივერსიტეტები დადგნენ ახალი გამოწვევის წინაშე _ თავის კვლავწარმოებისაგან საჭირო თანხა ამ რეფორმის შემდეგ არა სახელმწიფო დაფინანსებიდან, არამედ სტუდენტთა ჯიბეებიდან უნდა ამოეღოთ. სახელმწიფოს მონაწილეობა ამ პროცესში მინიმალური დარჩა: მხოლოდ გრანტირებული სტუდენტების სწავლების საფასურის გადახდა, ანუ მთლიანი თანხის ძალიან მცირე ნაწილის შეტანა უნივერსიტეტებში.

თვითდაფინანსების ამ მოდელმა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები აიძულა, გაეზარდათ სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტები სხვადასხვა ფაკულტეტზე (მაგალითად, თუ თითოეულ ფაკულტეტზე განსაზღვრული იყო 100 ან 150 სტუდენტის მიღება, ეს რაოდენობა იზრდებოდა 200-დან 300-მდე და ასე შემდეგ), რათა მეტი სტუდენტის მიღებით უნივერსიტეტებში მეტი ფული შესულიყო. მნიშვნელოვანი ისაა, რომ რაოდენობრივი კვოტები უნივერსიტეტებმა გაზარდეს არა იმ ფაკულტეტებზე, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში შრომის ბაზრისათვის საჭირო სპეციალისტების გაზრდილ რაოდენობას მოგვცემდა, არამედ იმ ფაკულტეტებზე, რომლებზეც მაღალი იყო მოთხოვნა თავად აბიტურიენტების მხრიდან (ჰუმანიტარულ სპეციალობებზე, იურიდიულ მიმართულებებზე, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების, სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებებისა თუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე). უნივერსიტეტებმა კვოტები გაზარდეს იმის მიუხედავად, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი ინფრასტრუქტურული აღჭურვილობა, აუდიტორიების სიმრავლე თუ სწავლების ხარისხის შესაბამისი მაჩვენებლები, სახელმწიფოს კი არ გააჩნდა დასაქმების ხელშეწყობის არავითარი ძლიერი პოლიტიკა თუ მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტებში პროფესიათა კატეგორიზაციას დროისა და ტექნოლოგიური მოთხოვნების მიხედვით განსაზღვრავდა. ყოველივე ამან ცხადია, გამოიწვია სწავლების ხარისხის კიდევ უფრო დაცემა, ბიუროკრატიული ლაბირინთებისა და სასწავლო ბაზების გაუმართაობის პრობლემების წარმოქმნა და გამწვავება სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

საგულისხმოა, რომ ზემოთ აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა იურიდიული სტატუსის ცვლილებაც განიცადეს _ საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან გადავიდნენ არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსზე, რამაც შესაძლებელი გახადა სახელმწიფო უნივერსიტეტების პრივატიზაცია, მათ მიერ სხვადასხვა შესყიდვის განხორციელება და ასე შემდეგ. სწორედ ამ ცვლილებების შემდეგ გაიყიდა აგრარული უნივერსიტეტი. თუ გადავხედავთ ქვეყანაში ამ პერიოდში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და ხელისუფლების პოლიტიკურ კურსს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგივე ელოდა სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტებსაც, მაგალითად, ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ასე შემდეგ, რის შედეგადაც შესაძლოა, მიგვეღო სახელმწიფო უნივერსიტეტების სრული

პრივატიზაცია. თუმცა 2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, სახელმწიფო უნივერსიტეტებმა დაიბრუნეს სსიპ-ის სტატუსი.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებულმა ინტერვენციებმა შრომის ბაზარსა და განათლების სისტემას შორის ნაპრალი კიდევ უფრო გააღრმავა, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა პრობლემას იწვევს: თუ შრომის ბაზარს ესაჭიროება, მაგალითად, ტექნიკური მუშახელი, უნივერსიტეტებს უწევთ, დამსაქმებელს შესთავაზონ აკადემიური განათლების მქონე მუშახელი, რომელიც, თავის მხრივ, განწირული იქნება ან სხვა სპეციალობით დასაქმებისათვის (ძირითადად, დაბალანაზღაურებად სპეციალობებზე), ან უმუშევრობისათვის, რადგან აკადემიური მუშაობისა და მეცნიერული მოღვაწეობის არათუ კურსდამთავრებულთა ამ რაოდენობისთვის საჭირო მასშტაბების მქონე, არამედ მინიმალური სტანდარტებიც კი არ არსებობს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

შესაბამისად, დაბალანაზღაურებად პროფესიებზე, როგორებიცაა, მაგალითად, გაყიდვების კონსულტანტი, სტილისტი, მიმტანი და ა.შ. ხშირად საქმდებიან ჰუმანიტარები, იურისტები და ა.შ. ხოლო საშუალო და მაღალანაზღაურებად პოზიციებზე გამოცხადებულ ვაკანტურობას ვერ პასუხობს ვერც საშუალო, და ვერც არაპროფესიული უმაღლესი განათლების მქონე მუშახელი, რაც ქმნის დისბალანსს შრომის ბაზრის მოთხოვნა/მიწოდებას შორის.

უნივერსიტეტის კორპორატიზაცია და სწავლების ხარისხი

უნივერსიტეტების კორპორატიზაცია კრიტიკული ტერმინია იმ ტალღის აღსაწერად, რამაც 70-80-იანი წლების შემდეგ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებს გადაუარა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი რჩება სახელმწიფო საკუთრებაში, მისი ავტონომიის გათვალისწინებით, თუმცა სტრუქტურულად ძალიან ჰგავს თანამედროვე კორპორაციას. ამ შემთხვევაში, ზემოთ აღწერილი პროცესი, როდესაც უნივერსიტეტს უწევს, გაზარდოს მისაღები კვოტები ან მოიფიქროს სხვადასხვა მექანიზმი მეტი ფულის შედინებისათვის საგანმანათლებლო სივრცეში, რაც ჩვენთან ათწლეულების დაგვიანებით განხორციელდა, პირდაპირ ასახავს უნივერსიტეტების კორპორატიზაციას. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ევროპულ უნივერსიტეტებში სათანადო სიმაღლეზეა სამეცნიერო სტანდარტები და აკადემიური, კვლევითი მუშაობა, ჩვენთან კი ეს პროცესი ფრაგმენტულია და ძირითადად ისევ საბჭოთა მემკვიდრეობისაგან დანატოვარ მიმართულებებს უკავშირდება (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ინსტიტუტებს, რომლებიც ძლიერი იყო საბჭოთა პერიოდში და ა.შ).

ისმის კითხვა: რა მოვუხერხოთ უნივერსიტეტებს, რომლებიც ვერ პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს, ვერ უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას და სწავლების ხარისხის ზრდას, არამედ „მოგების მიღებაზე“, ანუ თავის კვლავწარმოებისათვის აუცილებელი ხარჯების მოგროვებაზე არიან ორიენტირებულები სტუდენტთა ჯიბეებიდან? სწორედ ეს არის უნივერსიტეტის კორპორაციული მოდელი. საინტერესოა, რომ უნივერსიტეტის კორპორატიზაციამ გაუაზრებელი წინააღმდეგობა გაუწია შრომის ბაზრის მოთხოვნას _ ამ ორ, წესით ურთიერთდაკავშირებულ მექანიზმს შორის, ფაქტობრივად, კაპიტალისტური კონკურენციის კლასიკური მიმართება წარმოიქმნა _ ერთმანეთს დაეჯახა მხოლოდ დამსაქმებელზე მორგებული სახელმწიფოს, ანუ ბიზნესისა და კერძო სექტორის, ხოლო მეორე მხრივ, კორპორაციის მსგავსი სახელმწიფო უნივერსიტეტების, ანუ არაკომერციული ბიზნესის, კორპორაციული უნივერსიტეტების ინტერესები. შრომის

ბაზარს სჭირდება განსაზღვრული რაოდენობისა და სპეციალობის მუშახელი, უნივერსიტეტს კი სჭირდება განუსაზღვრელი რაოდენობისა და ბაზრისთვის შეუსაბამო სპეციალობების სტუდენტები (დაბალანაზღაურებადი, ტექნიკური ან მომსახურების სფეროს მუშაკები) _ ანუ მომავალი უმუშევრები, ან დროებით და არასტაბილურ სამუშაოებზე დასაქმებულები.

სწორედ განვლილი 25 წელი წარმოადგენს მკაფიო ილუსტრაციას იმისა, რომ ამ დროის განმავლობაში არც ერთ ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ძალას არ ჰქონია ნება და ბერკეტები, ჩიხიდან გამოეყვანა საგანმანათლებლო სისტემა. ბუნებრივია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტები ასეთ პირობებში კლანური ინტერესების მსახურ ინსტიტუციებად გადაიქცა და უფრო და უფრო დაშორდა ოთხ ძირითად ფუნქციას: 1) აწარმოოს მომავალი ინტელექტუალური რესურსი 2) აწარმოოს სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტები ანუ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა 3) აწარმოოს სამეცნიერო-კვლევითი პროცესი 4) შეინარჩუნოს შრომის ბაზრისათვის ფიზიკური და ინტელექტუალური შრომის დამნაწილებლის ფუნქცია და როლი.

სახელმწიფო პოლიტიკა

სწორედ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევის შემდეგ განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა პროფესიული განათლების ხელშეწყობასა და პრიორიტეტიზაციაზე სახელმწიფოს მხრიდან, რაც ერთი შეხედვით, უპირობოდ მისასალმებელია, თუმცა მისასალმებელია იმ მონაცემების ერთობლიობაზე დაყრდნობით, რასაც კვლევა გვაჩვენებს, ხოლო ის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებები, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, რაც კვლევამ ანალიზის მიღმა დატოვა, უფრო ძლიერი და რეფორმისტული პოლიტიკის საჭიროებისაკენ გვიბიძგებს, ვიდრე უბრალოდ არსებული სამუშაო ძალის მორგებაა ბაზრის მოთხოვნაზე. იმისათვის რომ კვალიფიკაცია ამაღლდეს, პირველ რიგში, განათლების პოლიტიკაში ჩარევას გრძელვადიანი და მომავალზე ორიენტირებული გათვლა უნდა ჰქონდეს, რათა ქვეყანაში გაიზარდოს საგანმანათლებლო მიღწევების ზოგადი დონე და ეროვნული მასშტაბით კიდევ უფრო დაბალანაზღაურებადი მუშახელის ქვეყანად არ ვიქცეთ მსოფლიო შრომით ბაზარზე, მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის. ასევე, ცოდნის ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობით, შესაძლებელია, გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყანამ თავად შექმნას ბაზრის მოთხოვნა მაღალკვალიფიციური მუშახელისათვის.

სახელმწიფოს მიერ შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა, რის მონაცემებსაც ვაანალიზებდით სხვა მონაცემებთან შედარებით, დასკვნის სახით, ერთმნიშვნელოვან განაცხადს აკეთებს იმის შესახებ, რომ ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონის არსებობა სამუშაო ადგილების სიმცირის კი არა, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მუშახელის არარსებობის პრობლემაა, რითაც თავისივე ხელით შექმნილ პრობლემას ისევ თავისსავე მოსახლეობას აბრალებს: დამოუკიდებლობის 25 წლის განმავლობაში სახელმწიფოს სტრუქტურული უმუშევრობის წინააღმდეგ არც ერთი ძლიერი რეფორმისტული ნაბიჯი არ გადაუდგამს არც განათლების და არც შრომითი ურთიერთობის სფეროში. ყველა რეფორმა და ინიციატივა, იქნებოდა ეს დასაქმების სააგენტოს შექმნა, ზოგადი უნარ-ჩვევებისა და სხვა სტანდარტიზებული მეთოდების შემოტანა საგანმანათლებლო სივრცეში თუ სოციალურად დაუცველებისათვის სხვადასხვა შეღავათი, წარმოადგენდა არა გრძელვადიან შედეგებზე გათვლილ სოციალურად ორიენტირებულ პოლიტიკას, არამედ მოკლევადიან შედეგებზე გათვლილ, ფასადურ ანტისოციალურ მიზნობრივ პოლიტიკას, სადაც სახელმწიფო მხოლოდ მათ ეხმარება, ვისაც თავად მიანიჭებს ძალიან გაჭირვებულის ოფიციალურ სტატუსს და

დანარჩენ მოსახლეობას ტოვებს ოჯახისა და ბაზრის (როგორც ერთადერთი სოციალური და ეკონომიკური ცვლადების) იმედზე. ცხადია, როდესაც საჯარო მატერიალური სიმდიდრეები ნადგურდება ან გადადის კერძო პირთა ხელში, იცვლება ეკონომიკური სტრუქტურა და წარმოიშობა სტრუქტურული უმუშევრობა, მოსახლეობის დიდი ნაწილის მხოლოდ ბაზრისათვის მინდობამ შეუძლებელია, გამოიღოს რაიმე დადებითი შედეგი საზოგადოების ან ქვეყნის განვითარებისათვის. მსგავსი პოლიტიკა, განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა სივრცეში (ჩაურევლობის პოლიტიკა, რაზეც ნაშრომის შესავალში ვისაუბრეთ), მხოლოდ საზოგადოების ერთი ფენისთვის შეიძლება იყოს დადებითი შედეგის მომტანი _ ესაა სწორედ ის კერძო კომპანიები და პირები ან ყოფილი სახელმწიფო მოხელეები (მონოპოლისტები), რომლებიც ფლობენ ქვეყანაში არსებულ მატერიალურ სიმდიდრეებს, რომელთაც პრივატიზებული აქვთ საჯარო სივრცეები და სტრატეგიული ობიექტები და რომლებიც უფრო და უფრო მდიდრდებიან ღარიბების კიდევ უფრო გაღარიბების ფონზე. ეს კი თანამედროვე კლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშან-თვისებაა. სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მთავარი ორიენტირი არა სიღარიბესთან მთლიანად, საყოველთაობის პრინციპის დაცვით ბრძოლაა, არამედ მიზნობრივი დახმარებები და პროგრამები (ამ მხრივ, მისასალმებელია დავით სერგეენკოს პრინციპული ნაბიჯი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დახვეწისაკენ მიმართული პოლიტიკისა და მის არამიზნობრიობაზე განცხადების გაკეთებით), არის თანამედროვე ანტისოციალური სახელმწიფო, რომელიც კოლონიალისტურ მიმართებას განიცდის იმპერიალისტურ დასავლეთთან - სწორედ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის დაწერილი სცენარებია იმ პრობლემების ერთ-ერთი ძირითადი განმაპირობებელი, რომლებიც მთავარ გამოწვევად რჩება საქართველოში.

ერთი სიტყვით, კვლევა ამბობს, რომ მაღალი უმუშევრობის მაჩვენებელი სამუშაო ადგილების რაოდენობას კი არ უპირისპირდება მწვავედ, არამედ უფრო მეტად უპირისპირდება ბაზრის მოთხოვნას, ანუ სამუშაო ადგილის ვაკანტურობის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს. ამ დასკვნის მიღება კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ კვლევის რესპონდენტები მხოლოდ დამსაქმებლები იქნებოდნენ (როგორც ამ შემთხვევაში მოხდა) და არა მათთან ერთად სახელმწიფო სტრუქტურები, თავად სამუშაო ძალა და ასე შემდეგ.

ამ ვითარების მართებული ანალიზი აუცილებელია იმისათვის, რომ პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა, როგორც ცალკეული გზა პრობლემის მოგვარებისა, სხვა რეფორმებთან ერთად სისტემურად განხორციელდეს, ანუ რეალურად იყოს შედეგის მომტანი. საამისოდ პირველ რიგში იმ მიზეზების ცოდნაა საჭირო, რამაც ეს შედეგი გამოიწვია, თუმცა ამას კვლევაში ვერ ვხედავთ. შესაბამისად, ჩვენთვის ბუნდოვანი რჩება, თუ რის საფუძველზე იწყებს სახელმწიფო განათლების სისტემაში ჩარევას, რადგან ეს, ჩვენი საზოგადოებრივი კონტექსტის, უახლესი ისტორიული გამოცდილებისა და შრომის ბაზრის, მართლაც, ღრმა და სტრუქტურული შესწავლის გარეშე, ვერ იქნება ეფექტიანი -გრძელვადიან პერსპექტივაში რეალური განვითარების მომტანი.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს შრომის ბაზრის კონტექსტს, გვრჩება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ცვლილებებს სახელმწიფო არა სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებით, არამედ კერძო სექტორის სასარგებლოდ გეგმავს. პროფესიული გადამზადების სისტემა, რომელსაც მთავრობა გვთავაზობს, ორიენტირებულია დამსაქმებლის მიერ თავისი მომავალი მუშახელის წინასწარ მომზადებაზე, სწავლების პროცესში, სანამ ისინი პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები იქნებიან. ცხადია, ამან შეიძლება გაზარდოს

პროფესიული კვალიფიკაციის დონე, თუმცა საინტერესოა, გაიზრდება თუ არა საშუალო ანაზღაურება ამ კვალიფიკაციის შემდეგ. თუ ამ რეფორმის შედეგად არ აიწევს ცხოვრების უკეთეს სტანდარტზე ხელმისაწვდომობის დონე, მაშინ ამ რეფორმით ისარგებლებს მხოლოდ დამსაქმებელი, რომელიც დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებზე დაასაქმებს ადამიანებს, ხოლო მათ კვალიფიკაციაზე თავადვე იზრუნებს, რადგან ასეთი მუშახელი სჭირდება. სახელმწიფოს პოზიცია ხისტი და მშრალია ისევე, როგორც შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ზედაპირული ანალიზითა და არასწორი მეთოდოლოგიით გვაძლევს მონაცემებს, რომელსაც მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: არსებობს დისბალანსი კვალიფიკაციის დონის მოთხოვნა/მიწოდებას შორის, რაც უნდა აღმოიფხვრას. სინამდვილეში ამ დისბალანსით მხოლოდ დამსაქმებელი ზარალდება, ხოლო მის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლა, ბევრად ეფექტიან შედეგს მოიტანს უშუალოდ დასაქმებულებისა და უმუშევრებისათვის, ვიდრე მათი შრომის ბაზრის მოთხოვნაზე მორგების ხისტი პოლიტიკა. სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოს პოლიტიკა პირველ რიგში უკავშირდება თავისი მოქალაქეების დაცვას გლობალური კრიზისის ფონზე წარმოქმნადი შრომის ბაზრის რისკებისაგან, რასაც აღნიშნული ინიციატივები არათუ ვერ გვპირდება, არამედ უკვე წარმოქმნილი რისკების შედეგად შექმნილი პრობლემების ეფექტიან გადაწყვეტასაც არ მოიცავს. მეტიც, ჩვენი გამოცდილება ბოლო ათწლეულების განმავლობაში, როგორც აღვნიშნეთ, შრომის ბაზრის რისკებისათვის ადამიანების მინდობა იყო, რასაც ვუწოდეთ ანტისოციალური პოლიტიკა. გრძელვადიანი შედეგებისთვის (იმისათვის, რომ დაიძლიოს უმუშევრობა, გაიზარდოს მოსახლეობის სოციალური მობილობის განხორციელების დონე, შემცირდეს უთანასწორობა და ამაღლდეს ცხოვრების სტანდარტი) პირველ რიგში სწორედ ასეთ პოლიტიკასთან ბრძოლაა საჭირო, რაც საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დირექტივების უალტერნატივოდ მიღების ნაცვლად სპეციფიკური კონტექსტის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე გამოკვეთილი სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფის პოლიტიკას გულისხმობს. მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობა ბოლო 25 წლის განმავლობაში გვაჩვენებს, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის მათ კონსულტაციებსა და დირექტივებს პროდუქტიული შედეგი არ მოჰყოლია სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. უამრავ განვითარებად ქვეყანაში სწორედ ეს დირექტივები გახდა კრიზისის გამწვავებისა და ადგილობრივი ხელისუფლებებისათვის მდგრადი განვითარების პოლიტიკისათვის ხელის შემშლელი *(სტიგლიცი, 2003, 2002).* შესაბამისად, ჩვენი სახელმწიფოს ვალდებულება, ამ შემთხვევაში, უნდა იყოს არა შრომის ბაზარზე განათლების სისტემის მორგება, არამედ ზოგადი საგანმანათლებლო მიღწევების დონის ზრდისთვის ხელშეწყობა, რაშიც იგულისხმება: მეტი დაფინანსებისა და ხარჯის გამოყოფა მეცნიერებისა და კვლევებისათვის; სახელმწიფო უნივერსიტეტების შიდა სტრუქტურის პროგრესული რეფორმირება და საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების მინიმალური კრიტერიუმების დანერგვა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში წიგნიერების დონის ზრდას და ეროვნული მასშტაბით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური მუშახელისათვის დამახასიათებელ საგანმანათლებლო მიღწევებს განაპირობებს.

თუმცა ცხადია, მხოლოდ განათლების სისტემაში გატარებული ცვლილებები (რაც არ უნდა პროგრესული იყოს) ვერ მოიტანს ეფექტიან შედეგებს, თუ არ იარსებებს მთლიანი სახელმწიფო პოლიტიკის გეგმა, რომელიც ყველა სფეროში იცავს ერთსა და იმავე პრინციპს. შეუძლებელია, განვითარების პოტენციალის არსებობა მოცემულ მძიმე კონტექსტში, სადაც ჯანდაცვის სამინისტრო საყოველთაობის პრინციპის დაცვისა და ჯანდაცვის სისტემის ხარისხის დახვეწაზეა ორიენტირებული, ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა კი აგრესიულად უპირისპირდება ყველა ასეთი ტიპის სოციალურ პოლიტიკას საკუთარი კურსით

_ მსოფლიო ბანკის მიერ შეთხზული პენსიის პრივატიზაციის გეგმით, დამსაქმებელთა და ბიზნესასოციაციების ღია ლობისტობითა და მთელი ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც კვლავ სხვას არაფერს წარმოადგენს, გარდა ჩაურევლობის პოლიტიკისა, განსაკუთრებით კი ფინანსური სექტორისა და მსხვილი ბიზნესის საკითხებში, მონოპოლისტური კომპანიების კაპიტალის უფრო და უფრო ზრდის ტენდენციაში კრიზისის პარალელურად, მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად გაღარიბების ფონზე.

ერთი სიტყვით, მთელი ეს ვითარება მოითხოვს არა განათლებისა და შრომის სამინისტროების კოლაბორაციულ რეფორმებს, რასაც განათლების სამინისტრო გვთავაზობს აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, არამედ სრულფასოვან საერთო შიდა პოლიტიკას, რომელსაც დაეყრდნობა შემდგომ ამ რეფორმებზე მუშაობა _ ფრაგმენტული სამინისტროების მუშაობა ვერ შეცვლის საერთო მდგომარეობას მაშინ, როდესაც სხვა სამინისტროები საპირისპირო პოლიტიკას წარმართავენ.

როდესაც ვსაუბრობთ, მაგალითად, უმუშევრობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაზე, აქ იგულისხმება ის, რომ უმუშევრობა მრავალგანზომილებიანი სოციალური და ეკონომიკური ცვლადების მთლიანობაა და, შესაბამისად, ცალკეული სამინისტროების ინიციატივით, ვერ შემცირდება. საჭიროა მთლიანი სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა (სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის, შრომის, ჯანდაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის სამინისტროების, დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მერიების, ადგილობრივი თვითმმართველობების ერთობლივი მონაწილეობით). მეორე მხრივ, ეფექტიანი პოლიტიკა გულისხმობს იმგვარ ხედვას, სადაც ერთმანეთს არ დაუპირისპირდება ცალკეულ სამინისტროთა პოლიტიკური კურსი ან თვალსაზრისი. სწორედ ამიტომაა საჭირო თანამედროვე რეალობაში მკაცრად იდეოლოგიზებული პარტიის არსებობა დომინანტური ეკონომიკური იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც შეძლებს დაგეგმოს მსგავსი, განვითარებაზე ორიენტირებული ერთიანი პოლიტიკის გეგმა.

ერთიანი და მწყობრი სახელმწიფო პოლიტიკა შეუძლებელია განხორციელდეს მაშინ, როცა თავად სახელმწიფოს პრიორიტეტს არ წარმოადგენს გრძელვადიანი რეფორმისტული გზის გავლა, ეტაპობრივად რომ დაუპირისპირდებოდა გარდამავალი პერიოდიდან დაგროვილ ძირეულ სოციალურ პრობლემებს. სახელმწიფოს ტაქტიკა მხოლოდ კრიზისების განმუხტვის მოკლევადიანი სტრატეგიებია, რაც, როგორც ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ, მომავალში უფრო გამიზეზებულ კრიზისებს წარმოშობს. როდესაც ვამბობთ, რომ სახელმწიფო არ არის სოციალურად ორიენტირებული, ვგულისხმობთ, რომ ის მოწოდებულია არა უმუშევრობის აღმოფხვრის პოლიტიკაზე, არამედ დამსაქმებლის მოთხოვნისადმი თავისი მოსახლეობისა და რესურსების, საზოგადოებრივი სივრცეების დაქვემდებარებასა და მორგებაზე. ბაზრის მოთხოვნა/მიწოდებას შორის დისბალანსის აღმოფხვრა სხვა არაფერია, თუ არა ამგვარი პრიორიტეტიზაცია სახელმწიფოს მხრიდან _ კერძო ინტერესის ხელშემწყობი ინიციატივები საზოგადოებრივი ინტერესის საპირისპიროდ, რომლებიც უკვე თავისთავად კრიზისში მყოფი ეკონომიკური მითებითაა კვლავწარმოებული; ვგულისხმობ „მეტი უცხოური ინვესტიცია პირდაპირ გაზრდის ეკონომიკას“ ან „კერძო ბიზნესის წარმატება პირდაპირ კორელაციაშია ქვეყნის განვითარებასთან“ მსგავს რიტორიკას. რეალურად, ამან შესაძლოა, მოგვცეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენცია წლების განმავლობაში, მაგრამ ეს არ არის ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის საფუძველი, რადგან მეორე მხრივ, გვაქვს გამოცდილება, რომ ამგვარი გზით ხელოვნურად გაზრდილმა მშპ-მ (მაგალითად, არაპროდუქტიული სექტორების წილის ზრდა და ინდუსტრიული სექტორის წილის შემცირება) გამოიწვია სოციალური

უთანასწორობის კატასტროფული ზრდა. ფაქტობრივად, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტენდენციის პარალელურად მივიღეთ „გაღარიბების“ ტენდენცია, რომელმაც განსაკუთრებით დაბალ ფენებს დაარტყა. ცხადია, ეს კომპლექსური საკითხია, თუმცა მარტივ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ თუნდაც მნიშვნელოვანი საჯარო სტრატეგიული ობიექტები, რომელთა სრული პრივატიზაციის შემდგომ ამ ობიექტებში დასაქმებული დაბალი ფენები კიდევ უფრო გაღარიბდნენ, აღმოჩნდნენ რა კერძო დამსაქმებლის ხელში, რომელსაც სახელმწიფო არ ავალდებულებს არავითარ სოციალურ პასუხისმგებლობას მშრომელების წინაშე და მეტიც, უქმნის საუკეთესო პირობებს იაფი მუშახელის ხარჯზე მეტი მოგების მისაღებად (საქართველოს შრომითი კანონმდებლობით, კერძო სექტორში მინიმალური ხელფასი თვეში კვლავ მხოლოდ 20 ლარს შეადგენს).

სწორედ ინდუსტრიული სექტორია პირველი დარტყმის ობიექტი ნეოლიბერალური პოლიტიკისათვის, თანაც იმგვარ ქვეყნებში, სადაც სოციალური დაცვის სისტემის დაუყოვნებლივ ჩამოყალიბების საჭიროება არსებობს. მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ფინანსური მაქინაციებისა და ვაჭრობის სფეროს ხარჯზე იზრდება, არავითარ რეალურ ეკონომიკურ ზრდას არ წარმოადგენს მოსახლეობისათვის, რეალურად, ის მხოლოდ ცხრილზე აღნიშნული მონაცემია. სწორედ წარმოების სექტორის წილის სიდიდე მთლიან შიდა პროდუქტში გვაძლევს ნამდვილ ეკონომიკურ ზრდას (იხ. ნაშრომის I ნაწილი). ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 60% თვითდასაქმებულია, სადაც მონოპოლისტური ბანკები წარმოადგენს მთელი ფინანსური სექტორის 90%-ზე მეტს და სადაც დღემდე არ არსებობს ქმედითი შრომის ინსპექცია, შეუძლებელი ხდება წარმოების სექტორის განვითარებაზე საუბარი, თუნდაც იმიტომ, რომ თვითდასაქმებულთა ამხელა წილი პირდაპირ ურთიერთდამოკიდებულებაშია განათლების სისტემის კრიზისთან, რაც თავისთავად პირდაპირ კორელაციაშია ველურ შრომის ბაზარსა და კერძო ბიზნესის მიერ ხელფეხშეკრულ სახელმწიფოსთან.

ნეოლიბერალური არგუმენტები უსაფუძვლოა ასეთი კონტექსტისათვის. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური კრიზისი გვაჩვენებს, რომ ამ არგუმენტებზე დაყრდნობით წარმოებულმა პოლიტიკამ მხოლოდ გაამძაფრა კრიზისი, სიღარიბე და უთანასწორობა; მოიტანა ეკოლოგიური კატასტროფა, ხელოვნური გენოციდები დემოკრატიისა და განმათავისუფლებლობის სახელით, მიგრანტების კრიზისი და სხვა მწვავე პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს არა მხოლოდ განვითარებადი, არამედ განვითარებული ქვეყნებიც დგანან. ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა (ამ შემთხვევაში) ცდილობს, დაუდევრად გაიმეოროს გზა, რომელმაც დაღუპვამდე მიიყვანა სხვადასხვა სახელმწიფო და რომელმაც 10 წლის განმავლობაში კატასტროფული შედეგები მოიტანა საქართველოში, ამის მიზეზი კი, პირველ რიგში, სწორედ ჩამოყალიბებული, მკაცრად იდეოლოგიზებული, სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული ისეთი პარტიის არარსებობაა ქვეყანაში, რომელიც შეძლებდა გრძელვადიანი, რეფორმისტული, სოციალურად ორიენტირებული ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას, არსებული კონტექსტის სიღრმისეული კვლევისა და ანალიზის საფუძველზე.

ავტორი:ალექსანდრა არაშვილი